განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავჯდომარე: ნათია გიორგობიანი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;

წევრები: ია მოსაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი;

ქეთევან ღვანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. გიორგობიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ი. მოსაშვილი

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 212693049

სახე:

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

☐ საზოგადოებრივი კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----------

თბილისი, 15.08.2018წ

(ქალაქი,წელი)

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, 2018 წლის 27 აპრილს წარმოდგენილ იქნა განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის N483587) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მოპოვების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 21 ივნისის N536 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნათია გიორგობიანი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);

ბ) ია მოსაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა ექსპერტი (წევრი);

გ) ქეთევან ღვანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი(წევრი);

ვიზიტის მიზანი იყო, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების პირობების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მოპოვების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 2018 წლის 17-20 ივლისს.

ავტორიზაციის ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ, წინასწარ გაცნობოდნენ ელექტრონულად წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამებს; დაწესებულების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციას; თვითშეფასების ანგარიშს და სხვ. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ მატერიალური სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციას.

ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალს, სტუდენტებს. ასევე ექსპერტთა ჯგუფს მიეცა საშუალება, მოენახულებინათ პრაქტიკის ობიექტები.

ვიზიტის დაწყებისას დაწესებულების მხრიდან გამოყოფილ იქნა საკონტაქტო პირი, ვის მიერაც ხდებოდა საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის მოწოდება და დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრების (ხარისხის სამსახურთან, ადმინისტრაციის წევრებთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სხვა) ორგანიზება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

თბილისი, 15.08.2018წ

(ქალაქი,წელი)

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

*ივსება მხოლოდ ავტორიზაციის ვიზიტისას, ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით*

| მდგომარეობა | სტუდენტებისმოთხოვნილიზღვრულირაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამებისრაოდენობა | საგანმანათლებლოპროგრამებისგანხორციელებელიპერსონალისრაოდენობა | ფართი | მისამართებისრაოდენობადამდებარეობა |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი | 1-20 | 1-5 | 1-20 | 1-500 კვ.მ. | ერთმისამართზე |
| | | | | 501-1500 კვ.მ. | სხვადასხვამისამართზეერთმუნიციპალიტეტში |
| არსებული | 21-50 | 6-10 | 21-50 | | |
| [redacted] | 51-150 | 11-15 | 51-100 | 1501-3000 კვ.მ. | სხვადასხვამუნიციპალიტეტში |
| [redacted] | **151-500** | **16-20** | **101-150** | 3000-5000 კვ.მ. | [redacted] |
| [redacted] | 501 დამეტი | 21 დამეტი | 151 დამეტი | **5001 დამეტი კვ.მ.** | [redacted] |

*<u>თვითშეფასების კითხვარში აღნიშნული ცხრილში, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის გრაფაში მითითებულია 101-150,თუმცა რეესტრის მონაცემებით აღნიშნული პარამეტრი შეესაბამება გრაფას 51-100, აღნიშნული პარამეტრის ცვლილება არ იწვევს საფასურის ცვლილებას.</u>*

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 15.08.2018წ

*(ქალაქი,წელი)*

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| 1.პროფესიულისაგანმანათლებლოდაწესებულებისსაგანმანათლე ბლოპროგრამები | | მუხლი 6 | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | მუხლი 6 / პუნქტია) | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | მუხლი 6 / პუნქტიბ) | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს. | მუხლი 6 / პუნქტიგ) | ■ | □ |
| 1.4 | დაწესებულებასშემუშავებულიაქვსპროფესიული სტუდენტისსტატუსისმოპოვების,შეჩერებისადაშეწყვეტის,მობილობისა დამიღებულიგანათლებისაღიარებისწესები | მუხლი 6 / პუნქტიდ) | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებასშემუშავებულიაქვსსაგანმანათლებლოპროგრამისშეწყვეტის სანქციისშემთხვევაშიშესაბამისიპროგრამისსტუდენტებისშემდგომი განათლებისუზრუნველყოფისმექანიზმები | მუხლი 6 / პუნქტიე) | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებასშემუშავებულიაქვსსაგანმანათლებლოპროგრამისგანხორ ციელებისშეფასებისსისტემა,რომლისშედეგებსაციყენებსსასწავლოპროცე სისხარისხისგაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტივ) | ■ | □ |
| 2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი | | მუხლი 7 | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულებისსაკუთრებაშიანმფლობელობაშიაქვს მატერიალურირესურსი, რომელიცგამოიყენებადაწესებულებისმიზნებისრეალიზაციისათვის დაშესაბამისსაგანმანათლებლოპროგრამებს, მათშორის: | მუხლი 7 / პუნქტია) | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთიანადარანაკლებ 400 კვ. მშენობა-ნაგებობათასაერთოფართი, გარდაიმშემთხვევისა, როდესაცსაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისშესაბამისი საბჭოგადაწყვეტილებასიღებს100პროფესიულსტუდენტზენაკლებკონტ ინგენტიანდაწესებულებისავტორიზაციისშესახებ; | მუხლი 7 / პუნქტია.ა) | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------------

----------------------------

თბილისი, 15.08.2018წ

(ქალაქი,წელი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.2 | სათანადოინვენტარითაღჭურვილისასწავლოფართი | მუხლი 7 / პუნქტია.ბ) | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაშიარისსაგანმანათლებლოპროცესისწარმართვისთვისაუცილებელიგარემო:ელექტროენერგიისმიწოდებისუწყვეტისისტემა,სველიწერტილები,ბუნებრივიგანათებისშესაძლებლობადაგათბობისსაშუალებებ ი. | მუხლი 7 / პუნქტიბ) | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულებისბიბლიოთეკისფონდი(როგორცბეჭდური,ისელექტრონულმატარებლებზეარსებული)შეესაბამებასაგანმანათლებლოპროგრამისსასწავლოკურსებისპროგრამებში(სილაბუსებში)მითითებულლიტერატურ ას; | მუხლი 7 / პუნქტიგ) | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციოტექნოლოგიებიგამოიყენებასაგანმანათლებლოსაქმიანობა ში, ასევედაწესებულებისმართვაში. | მუხლი 7 / პუნქტიდ) | ■ | ☐ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | მუხლი 7 / პუნქტიე) | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაშიდაცულიაპერსონალისადაპროფესიულისტუდენტებისუსა ფრთხოებადაჯანმრთელობა, რისთვისაცარსებობს: | მუხლი 7 / პუნქტივ) | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგოუსაფრთხოებისუზრუნველყოფისმექანიზმებიდახა ნძარსაწინააღმდეგოინვენტარი; | მუხლი 7 / პუნქტივ.ა) | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | მუხლი 7 / პუნქტივ.ბ) | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | მუხლი 7 / პუნქტივ.გ) | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტივ.დ) | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებასაქვსადაპტირებულიგარემოსპეციალურისაგანმანათლებ ლოსაჭიროებებისმქონეპროფესიულისტუდენტებისათვის. | მუხლი 7 / პუნქტიზ) | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდიასრულებსსაკომუნიკაციოდასაინფორმაციოფუნქციას, მასზეგანთავსებულიასაკონტაქტოდასხვასტანდარტებთანდაკავშირებუ ლიინფორმაცია (დაწესებულებისსტრუქტურა, საგანმანათლებლოპროგრამები, პერსონალიდასხვ ა ინფორმაციისგანახლებახდებარეგულარულად, ისე, რომდაცულიიყოსინფორმაციისკონფიდენციალურობისინტერესები. | მუხლი 7 / პუნქტით) | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულიადაწესებულებისგანვითარებისგრძელვადიანი (ექვსწლიანი) დაერთწლიანისამოქმედოგეგმები, გამომდინარედაწესებულებისმისიიდან, რაცასევეითვალისწინებსმატერიალურირესურსებისეფექტურადგამოყენე ბისადაგაუმჯობესებისმექანიზმებს. | მუხლი 7 / პუნქტიი) | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. | მუხლი 8 / პუნქტია) | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლოპროგრამახორციელდებაშესაბამისიკვალიფიკაციისმქ ონეპერსონალისმიერ.საგანმანათლებლოპროგრამისფარგლებშიდაწესებუ ლებასჰყავს 20 პროფესიულსტუდენტზეპროგრამისგანმახორციელებელიმინიმუმერთი პირი; | მუხლი 8 / პუნქტიბ) | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.3 | პროგრამისგანხორციელებლადპერსონალისშერჩევახორციელდებაკანონმდებლობისმოთხოვნებისადადაწესებულებისმიერდადგენილიპირობებისშესაბამისად. შრომითიხელშეკრულებები/დანიშვნისაქტები/მომსახურებისხელშეკრულებებიგაფორმებულიასაქართველოსკანონმდებლობითდადგენილიწესით. | მუხლი 8 / პუნქტი3) | ■ | ☐ |

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა.

აწსუ-ს სუბსტრატეგიის სახით შემუშავებული აქვს პროფესიული პროგრამების განვითარების სტრატეგია, რომელიც ასახავს უნივერსიტეტის ხედვას პროფესიული განათლების შესახებ, სადაც დეტალურად არის ასახული კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პირობები, შემუშავებულია სტრატეგიული ჩარჩოს სქემა, რომლის შემადგენელი ნაწილებია: სასწავლო პროცესის ადმინისტრაცია, სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება, მასწავლებელი და მოტივირებული სტუდენტის მოზიდვა. პროგრამების მიხედვით გაწერილია სამიზნე სტუდენტების რაოდენობა და სავარაუდო ლოკაცია, ასევე, სტუდენტის დასაქმების და კარიერული ზრდის რეალური შესაძლებლობები 2017-2020 წლებში. გარემოს ანალიზი და დაწესებულების შესაძლებლობების შეფასება იძლევა პროფესიული სწავლების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და საფრთხეების წინასწარი გამოვლენის შესაძლებლობას.

დაწესებულებას ქ.ქუთაისში აქვს მაღალ დონეზე მოწყობილი ბიბლიოთეკა. ასევე ახალ ადმინისტრაციულ კორპუსში კეთდება თანამედროვე ბიბლიოთეკა სამკითხველოთი და წიგნსაცავით, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემით.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა;

VI.რეკომენდაციების შეჯამება

1.1

პროფესიულ სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შედეგი „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი" ფასდება ტესტირებით როგორც შუალედური შეფასებისას, ასევე დასკვნითი გამოცდისას. ვინაიდან შედეგის შეფასება ამ შემთხვევებში არარელევანტური მეთოდით ხორციელდება, ვერ მოხერხდება სწავლის შედეგის დადასტურება, ამიტომ სასურველია პრაქტიკული უნარები შეფასდეს, დაწესებულებაში არსებული სტუდენტთა შეფასების სისტემის თანახმად, სადაც შეფასების მეთოდებში ტესტების გარდა მოცემულია: დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა და სხვა; სამუშაო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 15.08.2018წ

(ქალაქი,წელი)

ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, ქეისის განხილვა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა"

- სასურველია მოდულების დამხმარე ჩანაწერებში კერძოდ: პუნქტ სასწავლო გარემოთა ტექნიკური აღჭურვილობა, სადაც გამოყენებული ტერმინები „მინიმუმ", „არანაკლებ" „ან/და" დაკონკრეტდეს დაწესებულების საკუთრებაში არსებული არჭურვილობა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში კრედიტების ECTS სისტემა შეიცვალოს პროფესიული კრედიტებით, ხოლო სილაბუსებში გამოყენებული ტერმინი „ლექტორი" შეიცვალოს ტერმინით-პროფესიული მასწავლებლი;
- საჭიროა პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში, დეტალურად იქნას გაწერილი რომელი პროგრამის სტუდენტებს და რა რაოდენობით მიიღებს პრაქტიკის ობიექტი;
- სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროგრამაში მოდულ პრაქტიკულ პროექტში საათების განაწილების სქემაში ისევე როგორც ჩარჩო დოკუმენტის დანართის საათების განაწილების სქემაში შეცდომაა დაჯამებაში, რაც დაწესებულებამ სასურველია გაასწოროს;

1.2

- ვინაიდან, კატალოგი სარეკლამო ხასიათისაა, სასურველია დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების, პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს, ინფორმაციას სტუდენტების მიღებისა და პრაქტიკის განმახორციელებელი პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ, ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა;
- სასურველია, კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია პროფესიულ სწავლებასთან მიმართებაში, შესაბამისი ფოტომასალით არსებობით;

1.5

- სასურველია მემორანდუმები (გარდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯთან „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან") არ იყოს ზოგადი, ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და დადებული იყოს უშუალოდ პროფესიული პროგრამებისათვის;

2.3

- სასურველია ქ.ფოთში ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, სრულყოფილად დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;

2.6

- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ქ.ფოთშისაზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის შენობაში ცეცხლმაქრები განთავსდეს საევაკუაციო გეგმის შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

თბილისი, 15.08.2018წ

*[ქალაქი,წელი]*

- საჭიროა ქ.ფოთში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ინვენტარი და სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის;

2.7

- სასურველია დაწესებულებამ სამომავლოდ გამოყოს პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სსსმ პირის დაწესებულებაში გადაადგილებაზე;

2.9

- სასურველია ისევე როგორც სუბ-სტრატეგია, პროფესიული განათლების მიმართულებით სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშებიც, აკადემიურისგან დამოუკიდებლად და უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი;

3.1

- სასურველია შემუშავდეს შრომითი ხელშეკრულების სრულყოფილი ერთიანი ფორმა;
- სასურველია დაწესებულებაში ცალკე ჩამოყალიბდეს პროფესიულ სწავლების პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული (როგორც ადმინისტრაციული ისე დამხმარე პერსონალი);

3.3

- სასურველია პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, შრომის კოდექსის შესაბამისად შედგენილი ხელშეკრულების ფორმა და CV-ის ფორმაერთნაირი იყოს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვის;
- აუცილებელია სამართლებრივი აქტი, მოდულის განმახორციელებელი პირის შესახებ წინ უსწრებდეს საქმიანობის დაწყების პროცესს;
- სასურველია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასწავლებლის მიღების წესში მოყვენილი იყოს იდენტური ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს პროფესიული განათლების შესახებ თავი II მუხლი 12[1]



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 15.08.2018წ

[ქალაქი,წელი]

VII. დაწესებულების მისია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებსა და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას.

უნივესიტეტი ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტის დიდი ქარტიის" პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.

უნივერსიტეტის მისიაში გაცხადებულია საქართველოს უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნები: ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის, პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება.

უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში.ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის გენერირება-გავრცელებას და სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში.

დღეისათვის მოქმედი მისიის განაცხადი წარმოადგენს 2010-2016 წლების პერიოდში გაცხადებული მისიის გადამუშავებულ ვარიანტს. მასში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის წინაშე არსებული ახალი გამოწვევები და პერსპექტივები, ხაზგასმულია უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა, სტუდენტთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობა, აკადემიურ პროგრამებთან ერთად პროფესიული პროგრამების, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო პრიორიტეტის განხორციელება.

უნივერსიტეტის მთავარ ღირებულებებზე დაყრდნობით შემუშავებულია ძირითადი სამოქმედო პრინციპები:

1. პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე- მართვის ყველა დონეზე, ეფექტური ხელმძღვანელობის სისტემა და ხარისხის კულტურა აწსუ-ს თითოეული წევრის საქმიანობისა და უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესში.
2. საუნივერსიტეტო საზოგადოებაზე, სოციუმზე ორიენტირება-აწსუ-ს სტრატეგია დაფუძნებულია მოტივიტრებული სტუდენტების მოზიდვასა და გამორჩეული მკვლევრების ჩართვაზე საქმიანობის ყველა სფეროში. აწსუ ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასა და კეთილდღეობაზე, მხარს უჭერს პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების განაწილებას საუნივერსიტეტო მიზნების მიღწევასა და განხორციელებაში თანამშრომლების ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 15.08.2018წ
[ქალაქი,წელი]

3. ხარისხზე ორიენტირება- მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა როგორც სწავლა/სწავლების, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში.
4. აკადემიური თავისუფლება- აწსუ აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და სტუდენტები სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური პროფილის ფორმირებასა და განვითარებაში, ახალი ცოდნის შექმნაში, საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში, აკადემიური თავისუფლება უზრუნველყოფს აღმასვლას „თანამედროვე უნივერსიტეტიდან თავისუფალ აზროვნებამდე".
5. ღიაობა და მრავალფეროვნების პატივისცემა- უნივერსიტეტის ყველა წევრისთვის ( განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ) თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების შექმნის მხარდაჭერა.
6. აკადემიური კულტურა- უნივერსიტეტში არსებული კოლეგიალური გარემო ეფუძნება აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, ორმხრივ ინტერესს, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს.
7. გუნდურობა- თანამშრომლებს შორის ღია კომუნიკაცია, კოლეგიალობა, გუნდური მუშაობა, ჰარმონიული და დინამიკური ურთიერთობები.
8. სრულყოფისაკენ სწრაფვა- კვლევა ქმნის საფუძველს აწსუ-ში სხვადასხვა აქტივობისათვის, მათ შორის პროგრამების განვითარებისა და საზოგადოებისათვის ცოდნის გავრცელების მრავალფეროვანი ფორმების შესათავაზებლად (ფორმალური და არაფორმალური განათლება, დისტანციური და ელ-სწავლება, უწყვეტი განათლება და ა.შ) ტრადიციების პატივისცემითა და საკუთარი სრულყოფილებისკენ სწრაფვით უნივერსიტეტი განაპირობებს საზოგადოების დინამიკურ განვითარებას.

უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სამოქმედო პრინციპები, ისევე როგორც სტრატეგიული განვითარების გეგმა, განისაზღვრა საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი ჩართულობით. იგი განიხილეს როგორც კოლეგიალური ორგანოების (აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, ფაკულტეტების საბჭოები), ასევე სტუდენტური თვითმმართველობის, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლების, აკადემიური პერსონალის და საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრების წინაშე.

მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტის მისია, ხედვა და სამოქმედო პრინციპები ითვალისწინებს საქართველოს და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, დემოკრატიული საზოგადოების აქტიური წევრის მომზადებაში, ცოდნის შექმნასა და გაზიარებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობასა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:-------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------------
------------------------------

თბილისი, 15.08.2018წ
*(ქალაქი,წელი)*

სტანდარტების შეფასება

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციისთვის წარმოდგენილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ცხრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და პროფესიული სტანდარტის მიხედვით შექმნილი თერთმეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მილევად რეჟიმში).დამტკიცებული დაწესებულების უფლებამოსილ ორგანოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები

| N | პროგრამის დასახელება | საფეხური | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | მეხუთე | 111/141 |
| 2 | ბიბლიოთეკარი | მეოთხე | 94/124 |
| 3 | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი | მეოთხე | 106/136 |
| 4 | დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი | მეოთხე | 112/142 |
| 5 | ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი | მეხუთე | 117/147 |
| 6 | ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი | მეოთხე | 92/122 |
| 7 | სისტემების ადმინისტრატორი | მეხუთე | 104/134 |
| 8 | სარეკლამო აგენტი | მეოთხე | 95/125 |
| 9 | საბაჟო საქმე | მეხუთე | 93/123 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 15.08.2018წ
[ქალაქი,წელი]

პროფესიული საგანმანათლებლო საგნობრივი პროგრამები(მილევად რეჟიმი)

| N | პროგრამის დასახელება | საფეხური | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | აგროლოჯისტიკის ოპერატორი | მეოთხე | 50 |
| 2 | მცირე ბიზნესის მწარმოებელი | მეოთხე | 60 |
| 3 | სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი | მეოთხე | 60 |
| 4 | ავტომობილის ზეინკალი | მეოთხე | 60 |
| 5 | ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი | მეოთხე | 60 |
| 6 | მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი | მეოთხე | 60 |
| 7 | ელექტრიკოსი | მეოთხე | 60 |
| 8 | სავალი ნაწილის ტექნიკოსი | მეოთხე | 60 |
| 9 | სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი | მეოთხე | 60 |
| 10 | ძრავის შემკეთებელი | მეოთხე | 60 |
| 11 | საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი | მესამე | 45 |

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ექსპერტებმა დაადგინეს:
ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პირველ გვერდზე მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, აკადემიური საბჭოს სხდომის მიერ პროგრამის დამტკიცების დადგენილების რეკვიზიტები(დადგენილების ნომერი 107(17/18) 26 ივნისი 2018წ), სასწავლო დაწესებულების მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა), ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ, *ქალაქი და თარიღი, კერძოდ 2017წ. რაც ტექნიკური უზუსტობაა და სასურველია ყველგან ჩასწორდეს 2018 წლით. ავტორიზაციის ექსპერტთათვის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში პროგრამები არ არის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, თუმცა ადგილზე მატერიალური სახით არსებული პროგრამები ბეჭედდასმული და ხელმოწერილია. შეცვლილია პირველი ტიტულოვანი გვერდის დიზაინი.*

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიერ წარმოდგენილჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია : პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, განათლების საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა დასაქმების სფერო, სასწავლო გეგმა, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა.
პროგრამას ერთვის შემდეგი დანართები: პროგრამით გათვალისწინებული მოდულები(ადგილოზე CD დისკის სახით), პროგრამის განხორციელების გეგმა, ინფორმაცია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

თბილისი, 15.08.2018წ

(ქალაქი,წელი)

პროგრამის განმახორციელებელ პირთა შესახებ.

ყველა წარმოდგენილი პროგრამის სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, სტუდენტთა კვირეული დატვირთვის (არა უმეტეს 40 საათი კვირაში) გათვალისწინებით. სასწავლო გეგმებში ასახულია პარალელურ რეჟიმში სწავლება.

მოდულები შეესაბამება ჩარჩოდოკუმენტის დანართებს, ისინი მოიცავენ : 1.ზოგადი ინფორმაციას 2.სტანდარტული ჩანაწერებს და 3. დამხმარე ჩანაწერებს.

მოდულებში დამხმარე ჩანაწერების ყველა პუნქტი არ არის ადაპტირებული, კერძოდ: პუნქტ სასწავლო გარემოთა ტექნიკური აღჭურვილობა, სადაც გამოყენებული ტერმინები „მინიმუმ", „არანაკლებ" „ან/და".

პროგრამა „სისტემების ადმინისტრატორი მეხუთე საფეხური" მოდულ პრაქტიკულ პროექტში საათების განაწილების სქემაში ისევე როგორც ჩარჩო დოკუმენტის დანართის საათების განაწილების სქემაში შეცდომაა დაჯამებაში.

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიერ წარმოდგენილ პროფესიულ სტანდარტის მიხედვით შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველ გვერდზე მოცემულია: სასწავლო დაწესებულების დასახელება, ფაკულტეტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური, ქალაქი და წელი. ავტორიზაციის ექსპერტთათვის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში პროგრამები არ არის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, თუმცა ადგილზე მატერიალური სახით არსებული პროგრამები ბეჭედდასმული და ხელმოწერილია. პროგრამაში პროფესიული სტანდარტის ნომერი არ ფიგურირებს, პროფესიული მოცემულია: პროგრამის დასახელება, პროფესიული სტანდარტის ნომერი არ ფიგურირებს, პროფესიული განათლების საფეხური, პროგრამის ხელმძღვანელი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა, სწავლის ხანგრძლივობა(სემესტრების მითითებით) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, დასაქმების სფერო, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების რუქა, სასწავლო გეგმა, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, ცოდნის შეფასება, შეფასების ფორმები, მეთოდები,ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალური რესურსის შესახებ, პრაქტიკის ობიექტები, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები.

პროგრამებსთან ახლავს დანართები სილაბუსები CD დისკის სახით. რომელთაც არ აქვთ ერთიანი დიზაინი. მაგ განსხვავებული დიზაინი აქვს პროგრამებს: ავტომობილის შემკეთებელი ელექტრიკოსი მესამე საფეხური, საავტომობილო გზების და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი მეოთხე საფეხური.სილაბუსები მოიცავენ შემდეგ ინფორმაციას: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორი, სასწავლო კურსის კოდი(არ არის მითითებული)სასწავლო კურსის სტატუსი (რაც არ არის საჭირო პროფესიულ პროგრამებში), კურსის მიზანი, კრედიტები და საათები ECTS სისტემით, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლისა და სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა, დამატებითი ინფორმაცია.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

თბილისი, 15.08.2018წ

[ქალაქი,წელი]

პროგრამებში მითითებული შეფასების მეთოდები: ტესტირება, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია
აფასებს სტუდენტის თეორიულ ცოდნას, პროფესიულ სტანდარტის მოიხედვით შექმნილი შემდეგი
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში: ძრავის შემკეთებელი მეოთხე საფეხური
(სილაბუსი-საავტომობილო ძრავების ტექნიკური ექსპლოატაცია და რემონტი), სამაცივრო
(სილაბუსი-სამაცივრო ტექნიკის მომსახურება), სავალი
მოწყობილობები ტექნიკოსი მეოთხე საფეხური (სილაბუსი-ავტომობილის ტექნიკური მომსახურება),
ნაწილის ტექნიკოსი მეოთხე საფეხური (სილაბუსი-ავტომობილის დიაგნოსტიკა და კონტროლი)
ავტომობილის ზეინკალი მეოთხე საფეხური (სილაბუსი-ავტომობილის
შედეგი „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“ასევე ფასდება ტესტირებით, როგორც შუალედურ
შეფასებაზე,(უნდა იყოს შუალედური გამოცდა) ასევე დასკვნითი გამოცდაზე, ვინაიდან შედეგის
შეფასება ამ შემთხვევებში არარელევანტური მეთოდით ხორციელდება,. ვერ მოხერხდება სწავლის
შედეგის (პრაქტიკული უნარის)შეფასება.(იხილეთ დანართი N1 და/ან თვითშეფასების კითხვართან
ერთად გადმოგზავნილი დოკუმენტები). თუმცა დაწესებულების მიერ გაწერილ სტუდენტთა შეფასების
სისტემაში აქვს მითითებული შეფასების სხვა მეთოდებიც. კერძოდ, შეფასების მეთოდებში წერია:
"სასწავლო კურსით/კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად
გამოსაყენებელი საშუალებები (ტესტი, ესსე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია,
აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა და სხვა; სამუშაო ჯგუფში
მუშაობა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, ქეისის განხილვა, ობიექტურად
სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა"
სილაბუსებში ასევე აღინიშნება სწავლის შედეგების სიმრავლე, რაც არ შეესაბამება კურსის შინაარს და
მიზანს, კერძოდ, თეორიულ კურსებში შეტანილია ისეთი შედეგები როგორიცაა: დასკვნის უნარი,
ღირებულებები, რომელიც მიიღწევა მხოლოდ რეალურ გარემოში ან პრაქტიკაზე, მაგ
პროგრამები:საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი მესამე საფეხური და
ავტომობილის შემკეთებელ ელექტრიკოსი მეოთხე საფეხური.
ექსპერტების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადამოწმების შედეგად დადგინდა,
რომ მოდულური პროგრამები შედგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის N656 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით,ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო
პროგრამები შედგენილია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მიხედვით, კერძოდ:
აგროლოჯისტიკის ოპერატორი მეოთხე საფეხური, ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო ტექნიკოსი,
სავალი ნაწილის ტექნიკოსი,ძრავის შემკეთებელი,საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-
ტექნიკოსი -ბრძ N266 24.08.2013
მცირე ბიზნესის მწარმოებელი, სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი, მექანიკის ინჟინერიის
ტექნიკოსი -ბრძ N258 15.08.2013
ავტომობილის ზეინკალი, ელექტრიკოსი, სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი -ბრძ N398 17.07.2014



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

დაწესებულება ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, აპირებს პროფესიული პროგრამების განხორციელებას ქ. ქუთაისში და ქ. ფოთში

დაწესებულებას პრაქტიკის რეალიზებისათვის გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები შემდეგ ორგანიზაციებთან:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

| N | პროგრამის დასახელება | ორგანიზაციის დასახელება | შეთანხმების სახე | არის თუ არა პროგრამა მითითებული | ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საბაჟო საქმე მეხუთე საფეხური | სს სამკერვალო კომპანია „იმერი" | მემორანდუმი | პროგრამა არ არის მითითებული | 15.03.2020 |
| 2 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი მეხუთე საფეხური | ააიპ ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანება | მემორანდუმი | პროგრამა არ არის მითითებული | 23.02.2019 |
| 3 | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი მეოთხე საფეხური | შპს რაინბოუ | მემორანდუმი | პროგრამა მითითებულია | 10.02.2020 |
| 4 | სარეკლამო აგენტი მეოთხე საფეხური | შპს „BLACK and WHITE" | ხელშეკრულება | პროგრამა არ არის მითითებული | 23.01.2019 |
| 5 | სისტემების ადმინისტრატორი მეხუთე საფეხური | შპს „ბი-ემ-სი გორგია" | ხელშეკრულება | პროგრამა არ არის მითითებული | დადებულია 2015.17.03(ყოველ ორწლიანად ავტომატური გაგრძელების პირობით) |
| 6 | ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი მეხუთე საფეხური | სს სამკერვალო კომპანია „იმერი" | მემორანდუმი | პროგრამა მითითებულია | 10.02.2020 |
| 7 | ავეჯის კონსტრუირების | შპს „ავეჯი ქუთაისი" | მემორანდუმი | პროგრამა მითითებულია | 12.02.2020 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:-----------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------------------

-----------------------------------

თბილისი, 15.08.2018წ

*(ქალაქი,წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპეციალისტი მეოთხე საფეხური | შპს „სამნი" | მემორანდუმი | პროგრამა მითითებულია | 12.02.2020 |

უნდა აღინიშნოს, რომ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების - ბიბლიოთეკარი მეოთხე საფეხური და დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილები მეოთხე საფეხური საწარმოო პრაქტიკა ტარდება დაწესებულებაში, რისთვისაც არსებობს ყველა საჭირო პირობა.

პროფესიულ სტანდარტის მიხედვით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

| N | პროგრამის დასახელება | ორგანიზაციის დასახელება | შეთანხმების სახე | არის თუ არა პროგრამა მითითებული | ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აგროლოჯისტიკის ოპერატორი მეოთხე საფეხური | შპს „სამგზავრო ქუთაისი" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.11.2018 |
| 2 | მცირე ბიზნესის მწარმოებელი მეოთხე საფეხური | შპს „ინსტრას" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 19.02.2019 |
| 3 | სოფლისმეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი მეოთხე საფეხური | კოოპერატივი დოვლათი | ხელშეკრულება | პროგრამა არ არის მითითებული | 26.11.2018 |
| | | ააიპ ფონდი „აფხაზინტერკონტი" | ხელშეკრულება | პროგრამა არ არის მითითებული | 22.02.2019 |
| 4 | ავტომობილის ზეინკალი მეოთხე საფეხური | შპს „ჯეა" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.02.2019 |
| | | შპს „დოჯი კრაისლერი" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.02.2019 |
| 5 | ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი მეოთხე საფეხური | შპს „დოჯი კრაისლერი" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.02.2019 |
| | | შპს „სამება 2009" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.02.2019 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

თბილისი, 15.08.2018წ

[ქალაქი,წელი]

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6 | მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი მეოთხე საფეხური | შპს „ტრაქტორსერვისი" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 2.02.2019 |
| | | მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ხარატი-დემური გიორგაძე | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 1.02.2019 |
| 7 | ელექტრიკოსი მეოთხე საფეხური | შპს „გლობალსერვისი" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 10.09.2019 |
| 8 | სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი მეოთხე საფეხური | შპს "ქუთაისი" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 1.09.2018 |
| 9 | ძრავის შემკეთებელი მეოთხე საფეხური | შპს „სამება 2009" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.02.2019 |
| | | შპს „ტრაქტორსერვისი" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.02.2019 |
| 10 | სავალი ნაწილის ტექნიკოსი მეოთხე საფეხური | შპს „ჯეა" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.02.2019 |
| | | შპს „ტრაქტორსერვისი" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 23.02.2019 |
| 11 | საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი მეოთხე საფეხური | შპს „ტობე" | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 16.02.2019 |
| | | შპს „დაგი+ | ხელშეკრულება | პროგრამა მითითებულია | 16.02.2019 |

უნდა აღინიშნოს, რომ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პრაქტიკის ბაზებთან გაფორმებული მემორანდუმები/ხელშეკრულებები რიგ შემთხვევებში, არ იძლევა ინფორმაციას თუ რომელი პროგრამის პროფესიულ სტუდენტებს და/ან რა რაოდენობით მიიღებს ობიექტი პრაქტიკის ბაზაზე, მაგ: შპს „ავეჯი ქუთაისი", შპს „რაინბოუ", შპს „სამნი";-პროგრამები მითითებულია, მისაღები სტუდენტების რაოდენობა არა. პრაქტიკის ბაზებთან ხელშეკრულებებში-სს სამკერვალო კომპანია „იმერი",შპს „ბი-ემ-სი გორგია",შპს „BLACK and WHITE"- არც პროგრამაა მითითებული და არც მისაღები სტუდენტების რაოდენობა.

პროფესიულ სტანდარტის მიხედვით შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დიდ უმრავლესობაში, ხელშეკრულებებში-2.1 ნაწილში დაკონკრეტებულია თუ რომელი პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

----------------

თბილისი, 15.08.2018წ

(ქალაქი,წელი)

სტუდენტებს მიიღებს ობიექტი და უფრო დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. კერძოდ 3.1 ნაწილში წერია:"დამკვეთი ვალდებულია ამცნობოს შემსრულებელს პრაქტიკის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ჩატარების ვადები , მიმართვის ფორმის სახით (დანართი-1)და წარუდგინოს საწარმოო პრაქტიკის გავლის თემატური გეგმა" ; გამონაკლისია-კოოპერატივი დოვლათი და ააიპ ფონდი „აფხაზინტერკონტი".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ვიზიტის დროს არჩევითი პრინციპით შეამოწმეს პრაქტიკის რამდენიმე ბაზა, კერძოდ:

- შპს „ჯეა" -რომელიც წარმოადგენს პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების: სავალი ნაწილის ტექნიკოსი მეოთხე საფ, ძრავის შემკეთებელი მეოთხე საფ, ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი მეოთხე საფ და ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფ. პრაქტიკის ბაზას.
- ააიპ ქ.ქუთაისის N13 ბაგა-ბაღი-რომელიც წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის-ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი მეხუთე საფ პრაქტიკის ბაზას;
- შპს „რაინბოუ"-რომელიც წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფ პრაქტიკის ბაზას;

გასაუბრების და დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნულ ბაზებზე არის სამუშაო პირობები პროფესიული სტუდენტებისათვის და მზაობა მათი მიღებისთვის. პრაქტიკის ობიექტზე არსებობს საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. შედგა ინტერვიუ პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან. პრაქტიკის განმახორციელებელი პირები იცნობენ შესაბამის პროგრამებს;

პრაქტიკის ბაზებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს ახლავს დანართი(მიმართვის ფორმა), რომლის მეშვეობითაც, ასსუ წინასწარ მიმართავს პრქტიკის ბაზას, ხელშეკრულების საფუძველზე მიიღონ საწარმოო პრაქტიკაზე კონკრეტული პროგრამის სტუდენტები, ფორმაში მითითებულია პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები, კონკრეტული სტუდენტების სახელები და გვარები, პრაქტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი პირები და სხვა. პრაქტიკის ბაზის წარმომადგენლები ადგილზე ახდენენ პროფესიული სტუდენტების შეფასებას, რასაც ასევე აკონტროლებს უნივერსიტეტიდან გამოყოფილ პირი. ივსება ყოველდღიურად დღიურები, აწარმოებენ პრაქტიკის ჟურნალს. საწარმოო პრაქტიკის საბოლოო ანგარიში კეთდება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლის ერთობლივი ჩართულობით. დაწესებულებას აქვს რამდენიმე სიმულაციური გარემო, სადაც მიმდინარეობს რეალურ საწარმოო გარემოსთან მიახლოებული სასწავლო პროცესები, მოდულებში გათვალისწინებულ პრაქტიკული კომპონენტების ასათვისებლად. ვიზიტის დროს საწარმოო პრაქტიკა არსად არ ხორციელდებოდა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

თბილისი. 15.08.2018წ

(ქალაქი,წელი)

შპს „რაინბოუს“-რომელიც წარმოადგენს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის-ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფ პრაქტიკის ბაზას, ჯერჯერობით აღნიშნული პროგრამის პროფესიული სტუდენტები არ მიუღია, ვინაიდან პროგრამაზე ჯერ-ჯერობით არ ყავთ სტუდენტები, თუმცა ბაზა სამომავლოდ მზადაა სტუდენტთა მიღებისათვის;ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების-ბიბლიოთეკარი მეოთხე საფეხური და დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილები სპეციალისტი მეოთხე საფეხური საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება აწსუ-ს ბიბლიოთეკასა და საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის დიზაინისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტის სასწავლო აუდიტორიებში, სადაც მიმდინარეობს რეალურ საწარმოო გარემოსთან მიახლოებული პროცესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებით, თავი II, მუხლი 8 ბ;
- აკადემიური საბჭოს 15.09.2017 დადგენილებით N2(17/18);
- მემორანდუმებით/ხელშეკრულებებით პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით, წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით;
- პრაქტიკის გატარების შესახებ მიმოწერით;
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისებით;
- ბრძანებით 01-04/96 26.12.2017წ საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მილევად რეჟიმში გადასვლის შესახებ ;
- აკადემიური საბჭოს 29.12.2017წ დადგენილებით N41 (17/18) მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- აკადემიური საბჭოს 27.07.2017წ დადგენილებით N53 (16/17) ჩარჩო დოკუმენტის საუძველზე შექმნილ 11 მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- აკადემიური საბჭოს 26.04.2018წ დადგენილებით N84 (17/18) მოდულური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ ;
- აკადემიური საბჭოს დადგენილებით-N45 (16/17) 30.06.2017წ -სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

------------------

თბილისი, 15.08.2018წ

[ქალაქი,წელი]

• პროფესიულ სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შედეგი „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი" შეაფასდეს, დაწესებულებაში არსებული სტუდენტთა შეფასების სისტემის თანახმად, სადაც შეფასების მეთოდებში ტესტების გარდა მოცემულია: დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა და სხვა; სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, ქეისის განხილვა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა";

• სასურველია მოდულების დამხმარე ჩანაწერებში კერძოდ: პუნქტ სასწავლო გარემოთა ტექნიკური აღჭურვილობა, სადაც გამოყენებული ტერმინები „მინიმუმ", „არანაკლებ" „ან/და" დაკონკრეტდეს დაწესებულების საკუთრებაში არსებული არჭურვილობა;

• პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში კრედიტების ECTS სისტემა შეიცვალოს პროფესიული კრედიტებით, ხოლო სილაბუსებში გამოყენებული ტერმინი „ლექტორი" შეიცვალოს ტერმინით-პროფესიული მასწავლებლი;

• საჭიროა პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში, დეტალურად იქნას გაწერილი რომელი პროგრამის სტუდენტებს და რა რაოდენობით მიიღებს პრაქტიკის ობიექტი;

• სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროგრამაში, მოდულ პრაქტიკულ პროექტში საათების განაწილების სქემაში ისევე როგორც ჩარჩოდოკუმენტის დანართის საათების განაწილების სქემაში შეცდომაა დაჯამებაში, რაც დაწესებულებამ სასურველია გაასწოროს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:-----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------
-----------

თბილისი, 15.08.2018წ
*[ქალაქი,წელი]*

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში,ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, სამუშაოების უმეტესი ნაწილი სრულდება ელექტრონული რესურსების გამოყენებით. ამჟამად უნივერსიტეტს ემსახურება ორი ინტერნეტ-პროვაიდერი(კომპანია „სილქნეტი და შპს „ახალი ქსელები"). კომპიუტერული ტექნიკა ჩართულია ინტერნეტში 24/7 რეჟით, როგორც პერსონალისათვის განკუთვნილ სამუშაო ოთახებში, ასევე ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებსა და კომპიუტერულ კლასებში. 2013 წლიდან საუნივერსიტეტო კორპორაციული ფოსტის სერვერები განთავსდა კომპანია Microsoft-ის სერვერებზე და ფუნქციონირებს atsu.edu.ge დომენით. 2015 წლიდან უნივერსიტეტი ჩართულია დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში eflow.emis.ge კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე გააქტიურებულია ნორმატიული აქტების ბაზა codex (ადმინისტრაცია, საფინანსო, მატერიალური რესურსები, იურიდიული სამსახური, სამართლის დეპარტამენტი).ელექტრონული კატალოგი; საბუღალტრო პროგრამა (info-ბუღალტერია).დაწესებულებაში მუშაობს კორპორაციული ფოსტების საინფორმაციო წყაროები: აკადემიის ვებ გვერდი: (atsu.edu.ge); სიახლეები.აწსუ-საქვს ელექტრონული საინფორმაციო წყაროები. დაწესებულების მფლობელობაში აქვს კომპიუტერული ელექტრონული ფოსტა (info@atsu.edu.ge).დაწესებულების მფლობელობაში აქვს კომპიუტერული ტექნიკა(კომპიუტერი, ნოუთბუქი, პრინტერი, პროექტორი) სულ 900 ერთეული :

დასტურდება:(მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან, დომენი, ჰოსტინგი;
- ინფორმაციით ვებ სივრცის გამოყოფის შესახებ;
- აწსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით-წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N160 28.02.2018წ;
- შესყიდვის დოკუმენტებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შენიშვნა:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

თბილისი, 15.08.2018წ

[ქალაქი,წელი]

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ-ს შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი. საქმისწარმოების პროცესის განხორციელებასა და წარმოებაზე პასუხისმგებელია კანცელარია. სამსახურებრივად შემოსულ დოკუმენტებზე მუშაობა ხორციელდება უნივერსიტეტის შენობაში.

ქქუთაისი, თამარ მეფის N59 ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა გამოცემული აქტების, ბრძანებების, კორესპონდენციის, ხელშეკრულებების/მემორანდუმების, დიპლომის აღრიცხვისათვის უნივერსიტეტის კანცელარიაში არსებული სარეგისტრაციო წიგნები, რომლებიც გაფორმებულია სათანადოდ, კანცელარიის მიერ დადგენილი წესისა და კანონმდებლობის შესაბამისად. დამოწმებულია ყველა წესის დაცვით. კანცელარიას აქვს 2 (ორი მრგვალი ბეჭედი და ორი შტამპი)

1. საუნივერსიტეტო ბეჭედი – სახელმწიფო გერბით
2. ბეჭედი დასახელებით – "კანცელარია"
3. შტამპი შემოსული წერილებისათვის
4. შტამპი გასული კორესპოდენციისათვის

უნივერსიტეტი სარგებლობს ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემით (eflow.emis.ge), ელექტრონული კორესპონდენცია უნივერსიტეტს ეგზავნება კანცელარიის ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე-info@atsu.edu.ge

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აწსუ-ს საქმის წარმოების წესით-ბრძანება N01-04/8 1.03.2018წ;
- კანცელარიის დებულებით-წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N168 28.02.2018წ
- უნივერსიტეტის კანცელარიაში არსებული სარეგისტრაციო წიგნებით;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვისა და ელექტრონული ხელმოწერის სიტემათ (eflow.emis.ge).
- ვიზუალური დათვალიერებით;

შენიშვნა:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:-----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

-----------------------

თბილისი, 15.08.2018წ

*[ქალაქი,წელი]*

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქ.ქუთაისში დაწესებულებაში არსებობს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს და პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების, სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასა და საგანგებო სიტუაციების მართვაზე.
დაწესებულებაში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები და არსებობს შესაბამისი ინვენტარი. კორპუსებში, შენობების ყველა სართულზე, თვალსაჩინოდ დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, მისი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური აღწერით. ცეცხლმაქრები და სახანძრო ჰიდრანტები განთავსებულია არსებული ინსტრუქციის შესაბამისად. შემოწმდა დამუხტვის ვადები.
უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას, ყველა სართულზე, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის ინსტრუქცია .გამოკრულია საგანგებო სიტუაციების დროს საჭირო ტელეფონების ნომრების სია, ასევე თამბაქოს მოწევისა ამკრძალავი ნიშნები.
აწსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით დამტკიცებულია შესაბამისი ინსტრუქცია .
დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. საზოგადოებრივი წესრიგის და მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.
ქ.ფოთში-დაწესებულებაში არსებობს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს და პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების, სახანძრო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვასა და საგანგებო სიტუაციების მართვაზე.დაწესებულების ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, სადაც ასევე დატანილია ცეცხლმაქრების განლაგების ადგილი. პირველ სართულზე მარჯვენა ფლიგელში გამოკრულ საევაკუაციო გეგმაზე დატანილი ცეცხლმაქრი, შესაბამის ადგილზე არ იყო მოთავსებული. მე-2 და მე-3 სართულებზე ცეცხლმაქრები გეგმის მიხედვით იყო განთავსებული. დაწესებულების პირველ სართულზე არის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის ოთახი, ადგილზე საშუალებები პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის ვერ იქნა/არ აღმოჩნდა ასევე სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი პირი, როგორც ადგილზე განგვიმარტეს, რომ გაგზავნილი იყო რექტორის სახელზე მოთხოვნა, აღნიშნულ ფაკულტეტზე მედდის აყვანის თაობაზე, რაც ვიზიტის ბოლო დღეს(20.07.2018წ) დადასტურდა ადგილზე წარმოდგენილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:--------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------
-----------------------

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

რექტორის ბრძანებით-(01-05/808 20.07.2018წ) ექთნის პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულების გაფორმების თარიღზე .(იხილეთ დანართი N 4)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით;
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 24 იანვრის N146 დადგენილებით „ სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, საანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ";

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ქ.ფოთშისაზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის შენობაში ცეცხლმაქრები განთავსდეს საევაკუაციო გეგმის შესაბამისად;
- ქ.ფოთში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით უნდა არსებობდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ინვენტარი და სამკურნალო საშუალებები, რომლებიცვარგისია გამოყენებისათვის;

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის..

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისში დაწესებულებას სასწავლო კორპუსის ყველა ცენტრალურ შესასვლელს აქვს პანდუსი, დაწესებულებაში არსებობს ადაპტირებული სველი წერტილები.
ლიფტი მოწყობილია დაწესებულების მხოლოდ საბიბლიოთეკო და II კორპუსში, სადაც განთავსებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი სამი პროფესიული პროგრამა-ბაგა-ბაღის აღმზრდელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

პედაგოგი მეხუთე საფ. ბიბლიოთეკარი მეოთხე საფ. და სისტემების ადმინისტრატორი მეხუთე საფ. დანარჩენი პროგრამების ფარგლებში ადაპტირებული გარემო მხოლოდ პირველ სართულზეა მოწყობილი, მაშინ როდესაც სასწავლო პროცესი სხვა სართულებზეც ხორციელდება.

ქ.ფოთში საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის შენობაში დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ სტუდენტებისათვის მხოლოდ პირველ სართულზე. სადაც ვიზუალური დათვალიერებისას ინახა პანდუსი. შენობის მე-2 და მე-3 სრთულებზე სადაც განთავსებულია, ადმინისტრაცია, კომპიუტერული კლასი და ბიბლიოთეკა, პანდუსი არ არის.

თუმცა აწსუს პროფესიული განათლების სტრატეგიაში2017-2020წ. გაწერილია ადაპტირებული გარემოების მოწყობა ეტაპობრივად.
აწსუ-ს განმარტებით, თუ მათ მომავალში ეყოლებათ სსსმ პროფესიული სტუდენტი,ისინი სასწავლო გარემოს დაგეგმავენ იმგვარად, რომ სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იქნება დაწესებულების ყველა საჭირო სივრცე.
ასევე აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 24 იანვრის N146 დადგენილებაში„სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ"თავში- ადაპტირებული გარემო და/ან შემდგომი განვითარების გეგმა, წერია: „ საუნივერსიტეტო სივრცეში სსსმ პირთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს:

- სასწავლო აუდიტორიები;
- სსსმ პირების სპეციალობის შესაბამისი სპეციფიკაციის ლაბორატორიები;
- კომპიუტერული კლასები;
- სტუდენტური სერვისები;
- ბიბლიოთეკა;
- ადმინისტრაცია და შესაბამისი სამსახურები;

არსებული მდგომარეობა
უნივერსიტეტის კორპუსებში მოწყობილია ადაპტირებული გარემო, კერძოდ: I,II,III,IV,V,VII,VIII,IX,XI,XIII, XVIII, XIX, XX და საბიბლიოთეკო კორპუსში მოწყობილია პანდუსები, რაც საშუალებას იძლევა წვდომა გვქონდეს I სართულზე განთავსებულ სივრცეებზე, II და საბიბლიოთეკო კორპუსში მოწყობილია ლიფტი, რაც საშუალებას იძლევა წვდომა გვქონდეს ყველა სართულზე." ასევე- ადაპტირებული გარემოს – „შემდგომი განვითარების გეგმა-განვითარების გეგმაში მოიაზრება ლიფტების და დამატებითი სანიტარული კვანძების მოწყობა ეტაპობრივად. სსსმ პირების განთავსების მიზნით სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს შესაბამისი სტუდენტის სასწავლო პროცესის დაგეგმვა (მათ შორის სხვადასხვა დისამართზე) სრულყოფილი ადაპტირებული გარემოს შექმნის მიზნით".
(დანართიN5/და იხილეთ გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში -ფაილი ადაპტირებული გარემოს აღწერა)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------------
------------------------------

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 24 იანვრის N146 დადგენილებით „ სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, საანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ";
- პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიით, თავი4, 4.2-აკადემიური საბჭოს დადგენილება N25(16/17) 23.02.2017წ;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

- სასურველია დაწესებულებამ სამომავლოდ გამოყოს პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სსსმ პირის დაწესებულებაში გადაადგილებაზე;

2.8 ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა,საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალიდასხვ.)ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად,ისე,რომდაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. პროფესიული პროგრამების კატალოგი წარმოდგენილია აწსუ-ს საიტზე; ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ დამოუკიდებლად, თუმცა უნივერსიტეტის შესახებ სხვა დანარჩენი ინფორმაცია საერთოა.

საიტზე განთავსებულია უნივერსიტეტის საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების სტრუქტურა,ცალკეული სამსახურების დებულებები, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების დადგენილებები, რექტორის ბრძანებები, ინფორმაცია პროგრამების განმახორციელებელიპერსონალის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამები, უნივერსიტეტის ბიუჯეტი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

სიახლეები დასხვა.ვებ გვერდი მორგებულია შშმ პირებზე. საიტის ჩატვირთვისთანავე ეკრანზე ჩნდება შეტყობინების ფანჯარა - ვებ გვერდი ოპტიმიზირებულია შშმ პირებისათვის. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვსდომენისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდითwww.atsu.edu.ge
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ხელშეკრულებებით ინტერნეტ პროვაიდერებთან;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი(ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ-ს მისიაში ჩანს პროფესიული განათლების მიზნები. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (7 წლიანი) და სამწლიანი სამოქმედო გეგმები, სადაც ჩანს პროფესიული პროგრამების განვითარების ერთწლიანი გეგმა; ვიზიტის განმავლობაში, დაწესებულებამ წარმოადგინა 2017 და 2018 წლების ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიც. უმაღლესი პროგრამებისგან დამოუკიდებლად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროფესიული განათლების სუბ-სტრატეგიაც. პროფესიული პროგრამების წინა წლების ანგარიში წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებში ცალკე ქვეთავის სახით. ვიზიტისას ადგილზე მოხდა ამ ანგარიშების გადამოწმება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმით(შვიდწლიანი);
- სამოქმედო გეგმით (სამწლიანი);
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით;
- პროფესიული პროგრამების განვითარების სტრატეგიით (აწსუ აკადემიური საბჭოს სხდომის
- ოქმიN5, 23.02.2017);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:--------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

--------------------

თბილისი, 15.08.2018წ

(ქალაქი,წელი)

- პროფესიული პროგრამების სექტორის ყოველწლიური სამუშაო გეგმებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშებით;

შეფასება:

✓ სტანდარტი არ არის დარღვეული

სტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- სასურველია ისევე როგორც სუბ-სტრატეგია, პროფესიული პროგრამების ყოველწლიური ანგარიშებიც, დამოუკიდებლად და უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი;

## 3. ადამიანური რესურსი

### 3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ადმინისტრაციული პერსონალი არის საერთო უნივერსიტეტის ყველა საფეხურის პროგრამისათვის. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სისტემა ითვალისწინებს პერსონალის სამსახურში მიღების/დანიშვნის პროცედურებს. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ფუნქციები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების ადმინისტრაციულიპირების, ასევე ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შერჩევისა და დანიშვნა/არჩევის პროცესი რეგულირდება აწსუ-ს წესდებითა და „უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსით", რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ. წესდება განთავსებულია აწსუ-ს ვებ გვერდზე. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები.

დაწესებულების პერსონალის (რექტორი, რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორის აპარატის უფროსი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის უფროსი, პროფესიული პროგრამების კოორდინატორი, რეესტრის წარმომადგენელი, პროგრამის დეკანი) ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ან მართვის ორგანოს წევრობის წინაპირობაა აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა. ადმინისტრაციულ თანამდებობებზე არ შეიძლება არჩეულ ან დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------

-------------------

თბილისი, 15.08.2018წ

[ქალაქი,წელი]

აწსუ-ში ვიზიტისას დეტალურად გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რომლებიც შედგებოდა შემდეგი დოკუმენტებისაგან: კადრების აღრიცხვის ფურცელი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, CV (რიგ შემთხვევებში ავტობიოგრაფია), ფოტოსურათი, განათლებისდამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დიპლომი და დამატებითი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები), შრომითი ხელშეკრულება ან რექტორის ბრძანება თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. გამოვლენილია სხვადასხვა ტიპის შრომითი ხელშეკრულებები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური, დამხმარე პერსონალისა და მასწავლებლების სამსახურში მიღების პროცედურები, რომლებიც წარმოდგენილია წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით. უნივერსიტეტში მუშაობის დაწყებისათვის, მოწმდება მუშაობის მსურველის ცოდნის, უნარ-ჩვევების და გამოცდილების შესაბამისობა უნივერსიტეტის მიერ კონკრეტული სამუშაო პოზიციის მიმართ ჩამოყალიბებულ სამუშაო მოთხოვნებთან მიმართებაში; დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის მიხედვით, დაწესებულებას სამსახურში შეუძლია მიიღოს საქართველოს ქმედითუნარიანი მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი ან საშუალო განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

უნივერსიტეტის ყველა კონკრეტული სტრუქტურული ერთეულისა და პოზიციისათვის შემუშავებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები ძირითადი ფუნქცია-მოვალეობების, პასუხისმგებლობების წერილობითი ჩამონათვალი/აღწერა. აღნიშნული პროცედურების ამსახველი ინფორმაცია განთავსებულია უნივერისტეტის საიტზე. ასევე, დადასტურდა პერსონალთან გასაუბრების დროის.

უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის ვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დადასტურება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეებით;
- ინტერვიურებით ადმინისტრაციულ, პროგრამების განმახორციელებელ და დამხმარე პერსონალთან;
- პირადი საქმეებით;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესით-წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N157 23.02.2016წ;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულებით-აკადემიური საბჭოს დადგენილება N163 28.02.2018წ;
- უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესით- წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N32 მუხლი 2.9 2.07.2015წ;
- აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესით-წარმომდგენლობითი საბჭოს დადგენილება N16(13/14) 27.01.2014წ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------
-------------------

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

- აწსუს წესდებით, თავი V-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N132/ნ 9.09.2013წ;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაცია:

- სასურველია დაწესებულებაში ცალკე ჩამოყალიბდეს პროფესიული სწავლების მმართველი სტრუქტურული ერთეული (როგორც ადმინისტრაციული, ისე დამხმარე პერსონალი);

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ-სპროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგების დიდი ნაწილი არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე არიან მოწვეული პედაგოგებიც. ადგილზე ვიზიტისას გადამოწმდა პროფესიული პროგრამების განმახორცილებელი პერსონალის პირადი საქმეები, ინტერვიურების გზით დადგინდა ის დეტალები, რაც პერსონალის კვალიფიკაციის დადასტურებასთან იყო დაკავშირებული. პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობას. ინტერვიუზე გასაუბრება ჩატარდა 40-მდე პედაგოგთან.ძათ იციან საკუთარი უფლება-მოვალეობები, პროფესიული პროგრამების განხორციელების არსებული მექანიზმები და სისტემები.

უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია სულ 83 პროფესიული მასწავლებელი( www.evet.emis.ge მონაცემებით)

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს პროფესიულ სტუდენტების რაოდენობის შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 15.08.2018წ

*(ქალაქი,წელი)*

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ თვითშეფასების კითხვარში, 3.2 ნაწილში მოცემულ ცხრილში სტუდენტთა ფაქტობრივ რაოდენობის გრაფაში მითითებული რაოდენობა განსხვავებულია თვითშეფასების კითხვარის 38-ე გვერდზე(სდანდარტის 3.2 ნაწილი) მოცემულ ცხრილში მითითებული სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობისგან, სადაც მხოლოდ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არსებული სტუდენტებია ნაჩვენები. www.evet.emis.ge აჩვენა, რომ აქტიური სტუდენტების რაოდენობაა -231, პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა-83 თანაფარდობა პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლების თანაფარდობაა 231/83 (2.7/1)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. აწსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, თავი VII, მუხლი 17-დადგენილება N84 (14/15) 5.VIII.2015;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით;
3. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
4. CV;
5. სერთიფიკატებით;
6. დანიშვნის ბრძანებებით/აქტებით;
7. პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
8. www.evet.emis.ge

შეფასება:

✓ სტანდარტი არ არის დარღვეული
სტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმ იმოხილვა და ანალიზი:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, თავი VII პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელისა და მასწავლებლის შესახებ,მუხლი 17 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასწავლებლის მიღების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------

თბილისი. 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

წესში წერია:" 1.პროფესიული მასავლებლის მიღება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის და/ან პროფესიით მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟის გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;" დაწესებულების ვებ გვერდზე არსებულ **პროფესიული მასწავლებლის გზამკვლევში** წერია: • პროფესიული მასწავლებელი შეიძლება იყოსუმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურისკვალიფიკაციისმფლობელიანპირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლისგამოცდილება;

• IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროგრამის განმახორციელებელ პირს/პროფესიულ მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში"(საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ თავიII მუხლი 12[1] მიხედვით) ასევე გზამკვლევის მეოთხე გვერდზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა **სამსახურში მიღების წესში** მითითებულია," მუხლი 2. მასწავლებლის თანამდებობაზე არჩევის პირობები 1. მასწავლებლად შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება";

დაწესებულებაში ვიზიტისას ინახა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

შრომითი ხელშეკრულებები/მომსახურების ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულია შრომითი/მომსახურების ხელშეკრულება ან არის რექტორის ბრძანება პროფესიული მასწავლებლების მოწვევის შესახებ.

უნდა აღინიშნოს რომ თვითშეფასების კითხვართან ერთად გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში, კერძოდ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების მოწვევის ბრძანებების დიდი უმრავლესობა გამოცემულია გვიან, ხოლო ზოგიერთ ბრძანებში ბრძანების გვიან გამოცემასთან ერთად, ბრძანებაში სხვა პირია მითითებული, მოდულში კი განმახორციელებლად სხვა პირი.

მაგალითისთვის: პროგრამა ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი (მოდული კორპუსული ავეჯის კონსტრუირება) (დანართი 7ან/და გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში -მოდულურ პროგრამების განმახორციელების დანიშვნის აქტები გვ20) ასევე პროგრამა სარეკლამო აგენტი ( მოდული პრაქტიკული პროექტი)( დანართი 8)

მტკიცებულება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძანებით N01-05/1376 19.12.2017წ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------

თბილისი, 15.08.2018წ

*(ქალაქი,წელი)*

- აკადემიური საბჭოს დადგენილებით N84(14/15) 5.VIII.2015წ
- ვებ გვერდზე არსებული-პროფესიული მასწავლებლის გზამკვლევით;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით N122 3.08.2017წ (მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი);
- აწსუ-ს წესდებით-მუხლი 50, 6;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:

- სასურველია პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები,შრომის კოდექსის შესაბამისად შედგენილი ხელშეკრულების ფორმა და CV-ის ფორმაერთნაირი იყოს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვის;
- აუცილებელია სამართლებრივი აქტი, მოდულის განმახორციელებელი პირის შესახებ წინ უსწრებდეს საქმიანობის დაწყების პროცესს;
- სასურველია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასწავლებლის მიღების წესში მითითებული იყოს იდენტური ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს პროფესიული განათლების შესახებ თავი II მუხლი 12[1]

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

თბილისი, 15.08.2018წ
*(ქალაქი,წელი)*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგანმანათლებლო აგნობრივი პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი (მოდულური) | მეხუთე | ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხური პროფესიული კვალიფიკაცია (030254) | 111 | 141 | ქართული | ქ.ქუთაისი, თამარ მეფის N59 მე-2 კორპუსი | 9 | 40 |
| 2 | ბიბლიოთეკარი(მოდულური) | მეოთხე | ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია(070852) | 94 | 124 | ქართული | ქ.ქუთაისი, თამარ მეფის N59 მე-2 კორპუსი | 0 | 30 |
| 3 | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი(მოდულური) | მეოთხე | ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080381) | 106 | 136 | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის ქუჩა მე-2 შესახვევი N23 მე-13 კორპუსი | 0 | 20 |
| 4 | დეკორატიული გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი(მოდულური) | მეოთხე | დეკორატიული გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080359) | 112 | 142 | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის ქუჩა მე-2 შესახვევი N23 მე-13 კორპუსი | 19 | 20 |
| 5 | ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი (მოდულური) | მეხუთე | ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080377) | 117 | 147 | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის ქუჩა მე-2 შესახვევი N23 მე-13 კორპუსი | 16 | 20 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:--------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: --------------------

--------------------

თბილისი, 15.08.2018წ

*(ქალაქი,წელი)*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი (მოდულური) | მეოთხე | ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (080384) | 92 | 122 | ქართული | ქუთაისი ახალგაზრდობის ქუჩა N98 მე-8 კორპუსი | 13 | 30 |
| 7 | სისტემების ადმინისტრატორი (მოდულური) | მეხუთე | სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040162) | 104 | 134 | ქართული | ქუთაისი, თამარ მეფის N59 მე-2 კორპუსი | 19 | 30 |
| 8 | სარეკლამო აგენტი (მოდულური) | მეოთხე | სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020253) | 95 | 125 | | ქუთაისი ჭავჭავაძის პრ.21 მე-18 კორპუსი | 14 | 30 |
| 9 | საბაჟო საქმე (მოდულური) | მეხუთე | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში (020368) | 93 | 123 | | ქუთაისი ჭავჭავაძის პრ.21 მე-18 კორპუსი | 19 | 40 |

[illegible]ლი სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგანმანათლებლო პროგრამებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აგროლოჯისტიკის [illegible] 2018წ [illegible] | მეოთხე | აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020363) | 50 | | ქართული | ქუთაისი; შერვაშიძის 53 | 22 | 22 |
| 2 | [illegible] | მეოთხე | მცირე ბიზნესის მწარმოებელის | 60 | | ქართული | ქუთაისი კუნძულის ებანი, 9 | 8 | 8 |



[illegible]რიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:-----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------

-----------------

თბილისი, 15.08.2018წ
(ქალაქი,წელი)

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | (მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | | მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია(02 0360 | | | | აპრილის ხეივანი N11 | | |
| 3 | სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებელი(მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020361) | 60 | | ქართული | ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის 21 | 14 | 14 |
| 4 | ავტომობილის ზეინკალი(მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | ავტომობილის ზეინკლის მეოთხე საფეხურის პროფესიულიკვალიფიკაცია (040772) | 60 | | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 | 5 | 5 |
| 5 | ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი (მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსისმეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040767 | 60 | | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 | 9 | 9 |
| 6 | მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი (მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040853) | 60 | | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 | 7 | 7 |
| 7 | ელექტრიკოსი (მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | ელექტრიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040557) | 60 | | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 | 6 | 6 |
| 8 | სავალი ნაწილის ტექნიკოსი (მილევადი რეჟიმი მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | სავალი ნაწილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია( 040769) | 60 | | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 | 5 | 5 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

----------------------

თბილისი, 15.08.2018წ

*[ქალაქი,წელი]*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი (მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040955) | 60 | | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 | 6 | 6 |
| 10 | ძრავის შემკეთებელი (მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | ძრავის შემკეთებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040770) | 60 | | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 | 7 | 7 |
| 11 | საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი (მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მესამე | საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040668) | 45 | | ქართული | ქ.ქუთაისი ახალგაზრდობის გამზირი N98 | 15 | 15 |

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობების შეფასებისას, პროფესიული სტანდრტის საფუძველზე შემუშავებული ათი პროგრამების შემთხვევაში, აწსუს მიერ თვითშეფასების კითხვარით წარმოდგენილი ადგილების ზღვრული რაოდენობა ემთხვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსზღვრულ ზღვრულ რაოდენობას, მაგრამ შეიცვალა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ემისის ბაზის მონაცემების საფუძველზე. კერძოდ:

**მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროგრამის შემთხვევაში-** აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 20. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა 8, ვინაიდან აქტიური სტუდენტია 8 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**სოფლის მეურნეობის ბიზნესის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროგრამის შემთხვევაში-** აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 15. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა 14, ვინაიდან აქტიური სტუდენტია 14 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**ავტომობილის ზეინკალი მეოთხე საფეხურის** პროგრამის შემთხვევაში აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 10. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა 5, ვინაიდან აქტიური პროფესიული სტუდენტია 5 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის** პროგრამის შემთხვევაში-აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 15. ამ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

---------------------

თბილისი, 15.08.2018წ

[ქალაქი,წელი]

შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა- 9, ვინაიდან აქტიური პროფესიული სტუდენტია - 9 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის მეოთხე საფეხურის** პროგრამის შემთხვევაში- აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 10, ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა- 7, ვინაიდან აქტიური პროფესიული სტუდენტია - 7 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**ელექტრიკოსის მეოთხე საფეხურის პროგრამის შემთხვევაში** - აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 15, ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა-6, ვინაიდან აქტიური სტუდენია-6 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**სავალი ნაწილის ტექნიკოსის მეოთხე საფეხურის პროგრამის შემთხვევაში**- აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 10. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა -5, ვინაიდან აქტიური სტუდენტია-5 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**სამაცივრო მოწყობილობების ტექნიოსის მეოთხე საფეხურის პროგრამების შემთხვევაში** -აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 10. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა -6, ვინაიდან აქტიური სტუდენტია-6 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**ძრავის შემკეთებელის მეოთხე საფეხურის პროგრამის შემთხვევაში**- აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 10. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა- 7, ვინაიდან აქტიური სტუდენტია -7 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

**საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროგრამის შემთხვევაში**- აწსუს თვითშეფასების კითხვარში სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მითითებული აქვს 20. ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფმა ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრა 15, ვინაიდან აქტიური სტუდენტია 15 და პროგრამა მილევად რეჟიმშია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობების შეფასებისას, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული : **აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროგრამის** შემთხვევაში გამოიკვეთა შემდეგი გარემოება , <u>აწსუს მიერ თვითშეფასების კითხვარით წარმოდგენილი ადგილების ზღვრული რაოდენობა არ ემთხვევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ზღვრულ რაოდენობას და ასევე განსხვავდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ემისის ბაზის მონაცემების საფუძველზე განსაზღვრული ადგილების ზღვრული რაოდენობისგან.</u>

კერძოდ:

| N | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით N9 2018წ 20.03 | ადგილების ზღვრული რაოდენობა აწსუს თვითშეფასების კითხვარის მიხედვით | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით მისამართების მიხედვით<br><br>ემისის ბაზის მონაცემების გათვალისწინებით. |
|---|---|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

---------------

თბილისი, 15.08.2018წ

*(ქალაქი,წელი)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ადგილების ზღვრული რაოდენობა | | |
| 1 | აგროლოჯისტიკის ოპერატორი (მილევადი რეჟიმი, მთავრდება 2018წ ნოემბერში) | მეოთხე | აგროლოჯისტიკის ოპერატორის მეოთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020363) | 20 | 21 | 22 აქტიური სტუდენტი, |

აღნიშნული გარემოების ახსნა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის ბრძანება N152/ნ 27.09.2013წ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლით 27. 9. სადაც გაწერილია-„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი შემდგომი საფეხურის ტესტირების ან/და კონკურსის შედეგების საფუძველზე, თუ ორ ან ორზე მეტ აპლიკანტს ერთსა და იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოსახვედრად ჩასაბარებელ საგნებში/დაწესებულების მიერ დადგენილ კონკურსში მოპოვებული აქვს თანაბარი საკონკურსო ქულა და მათი დაწესებულებაში ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილთა რაოდენობას, დაწესებულების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად"

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1-15გვ
დანართი 2-28 გვ
დანართი 3-2გვ
დანართი 4 -2გვ
დანართი 5-2გვ
დანართი 6-2გვ
დანართი 7- [illegible]
დანართი 8-1გვ

დანართი 9-ვიზიტის დღის წესრიგი

დანართები [illegible]არდა დასკვნის პროექტთან ერთად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

თბილისი, 15.08.2018წ
[ქალაქი,წელი]